13/12/2024

MES 1 24 0001608032

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
რუსუდან ზვიადაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემოქ ედის N2 საჯარო სკოლა:
თამარ ნებიერიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღურტის საჯარო სკოლა:
რეზო იაკობაძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ქალაქ თბილისის N102 საჯარო სკოლა:
ზაზა გრიგალაშვილი -სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლა:
ცისანა ბარამიძე -სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს N2 საჯარო სკოლა:
ეთერი ქვრივიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურის საჯარო სკოლა:
ზირაქი ჯანელიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა:
მარიკა კიკალიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლა:
მაია დვალი- სკოლის დირექტორის მოადგილე

სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლა:
შორენა მამუკაშვილი - სკოლის დირექტორი;
მარიამ ძიძიკაშვილი - სკოლის დირექტორის მოადგილე;
გიორგი უკლება - სკოლის საინფორმაციო მენეჯერი;
მერი სომხიშვილი - სკოლის საქმისმწარმოებელი.

სსიპ - ქალაქ თბილისის №172 საჯარო სკოლა:
დავით ბრეგვაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლა:
ლელა დარძული - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლა:
ქეთევან გვარჯალაძე-გორგოშაძე - სკოლის დირექტორი;
რუსლან ბერიძე - სკოლის დირექტორის მოადგილე;

ნინო გოგოლიშვილი - სკოლის დირექტორის მოადგილე;
მირანდა კაკალაძე - სკოლის საქმისმწარმოებელი;
ლელა მელიქიშვილი - მენეჯერი.

სსიპ - მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლა:
ნანა ირემაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლა:
კარლო სუბელიანი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტ ები):

სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემოქ ედის N2 საჯარო სკოლა:

ა) ხათუნა ლოდია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო ცინდელიანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ინგა ალავერდაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო მიმინოშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ბლუაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლამარა დარახველიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნონა გამხიტაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) სოფიო ჯგერენაია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტისს ოფელ ღურტის საჯარო სკოლა:

ა) მამუკა ხამხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ალა სანამიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ირმა ქაფიანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) რუსუდან ნიპარიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა კუნჭულია (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ცოტნე გვაჯაია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჯოჯიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N102 საჯარო სკოლა:

ა) ირმა ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო ფაილოძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირინა გოგონაია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო გულმაგარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა გელაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეკა ბარნაბიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაკა აფრიამაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ელისო ვადაქარია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლა:

ა) თალიკო ჯაყელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ სურმანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნელი ნაოჭაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) კახა გალდავა(საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო მოლაშხია(უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარიამი ჩიკვაიძე-კეჭაყმაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ტაბუცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თამარ ოძელაშვილი(სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ინგა ანდიაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 29 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განმარტა, რომ საბჭოს არ ესწრებოდა მდივანი, მანანა ჯინჭარაძე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ გადაწყვიტა, მისი ფუნქცია შეესრულებინა საბჭოს წევრს, მაკა მამფორიას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღურტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ თბილისის N102 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. „სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 დეკემბრის N 1726564 ოქმის მეთერთმეტე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
6. „სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 დეკემბრის N 1726564 ოქმის მესამე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
7. „სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 დეკემბრის N 1726564 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
8. „სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 დეკემბრის N 1739275 ოქმის პირველ ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
9. „სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 დეკემბრის N 1739275 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
10. „სსიპ - ქალაქ თბილისის №172 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 დეკემბრის N 1739275 ოქმის მეშვიდე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
11. „სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N 1747184 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
12. „სსიპ - ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N 1747184 ოქმის მეცხრე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
13. „სსიპ - მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N 1750749 ოქმის მეათე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;

14. „სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N 1750749 ოქმის მეცხრე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის N2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 26 და 27 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 100. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშულო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, ექიმის ოთახი და ადაპტირებული სველი წერტილი. მისი თქმით, დაწესებულებას არ ჰქონდა შიდა სპორტული

დარბაზი და გარე სპორტული მოედანი, ასევე, მეორე და მესამე სართულზე ასასვლელ კიბეს არ ჰქონდა პანდუსი და ექიმის ოთახში არ იყო შირმა.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, როგორ ტარდებოდა დაწესებულებაში სპორტის გაკვეთილები.
ექსპერტის, ხათუნა ლოდიას, განმარტებით, სკოლის დერეფანში განთავსებული იყო მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა, ასევე, კარგი ამინდის დროს, სპორტის გაკვეთილები ტარდებოდა სკოლის ეზოში.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, სპორტული დარბაზის ან მოედნის მოწყობის მიზნით, რა ნაბიჯები ჰქონდა სკოლას გადადგმული.
ექსპერტ ხათუნა ლოდიას თქმით, დაწესებულებას მიმართული ჰქონდა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის. აქვე, სკოლის დირექტორმა, თამარ ნებიერიძემ, აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული სტრუქტურისგან მიღებული ჰქონდათ წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ დაწესებულებაში სამომავლოდ მოეწყობოდა სპორტული დარბაზი და ადაპტირებული გარემო.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები იმეორებდა ერთმანეთს და სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, ყურადღება მიექციათ აღნიშნული საკითხის დახვეწისთვის, ასევე, ვებ-გვერდზე განეთავსებინათ სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რა ნაბიჯები ჰქონდა სკოლას გადადგმული კურიკულუმებისა და შეფასების სისტემის დახვეწის მიმართულებით.
სკოლის დირექტორის, თამარ ნებიერიძის თქმით, სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა კურიკულუმების დახვეწისთვის და შემუშავებული ჰქონდათ მონიტორინგის გეგმა. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე სკოლის კათედრებს დაწყებული ჰქონდათ აქტიური მუშაობა.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ სასკოლო კათედრებს ესაჭიროებოდა მეტი თანამშრომლობა ერთმანეთთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100- ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:25
დასრულების დრო - 16:32

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის

პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 228540433) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო ქედი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო ქედი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო ქედი

- **საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:**

მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის ნოემბერში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ექიმის ოთახში შირმის მოწყობისა და შენობის ადაპტირების (მეორე და მესამე სართულებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების გადაადგილებისთვის) დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

16:35 საათზე, საბჭოს სხდომას შემოუერთდა, საბჭოს მდივანი, მანანა ჯინჭარაძე.

2. სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღურტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღურტის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 12 და 13 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 200. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 200 მოსწავლისთვის.

ექსპერტის თქმით, დაწესებულება დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა ორ მისამართზე: ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღურტასა და ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ იაკობაძეებში.

ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშულო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ხოლო, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ, წარმოადგინა სოფელ ღურტის სკოლის შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება მდებარეობდა მაღალმთიან რეგიონში და შენობას ესაჭიროებოდა რეაბილიტაცია. მისი თქმით, სკოლას ჰქონდა გარე სპორტული მოედანი, სამედიცინო ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია.

რაც შეეხებოდა სოფელ იაკობაძეების სკოლას, სადაც ხორციელდებოდა მხოლოდ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, განთავსებული იყო ხის შენობაში და ესაჭიროებოდა გამაგრებითი სამუშაოები.

ექსპერტის თქმით, დაწესებულება განსაკუთრებული ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა მხარდაჭერას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, რითი თბებოდნენ სოფელ იაკობაძეების სკოლის მოსწავლეები.
ექსპერტის, მამუკა ხამხაძის, განმარტებით, სოფელ იაკობაძეების შენობაში მოსწავლეები თბებოდნენ შეშის ღუმელით.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, ასევე, დაინტერესდა, სახანძრო უსაფრთხოების გათვალისწინებით, რამდენად უსაფრთხო იყო შეშის ღუმელი მოსწავლეებისთვის.
ექსპერტის, მამუკა ხამხაძის, განმარტებით, ხანძრის გაჩენის თავიდან აცილების მიზნით, შეშის ღუმელი იდგა რკინის მოწყობილობაზე.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ ვებ-გვერდზე არ იყო განთავსებული სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და ფინანსების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისად, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, მეტი ყურადღება დაეთმოთ ამ საკითხებისათვის.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, რეზო იაკობაძის, განმარტებით, სკოლას მზად ჰქონდათ ყველა დოკუმენტი, თუმცა, ვინაიდან, იმყოფებოდნენ მაღალმთიან რეგიონში, იყო ინტერნეტის პრობლემა და ამ მიზეზით ჰქონდათ ტექნიკური ხარვეზი ვებ-გვერდზე.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ, რა სამუშაოები გაატარა სკოლამ.
სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, შეიმუშავეს ყველა საჭირო დოკუმენტი სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსასვლელად. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე აქტიურად ჰქონდათ მუშაობა დაწყებული.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, მიმართა ექსპერტებს, შეეფასებინათ მათემატიკისა და ქიმიის კურიკულუმები. მისი თქმით, მე-3 და მაღალ კლასებში არ იყო მოცემული ინფორმაცია როგორ მიმდინარეობდა კომპლექსური სწავლება და რა ტიპის შემაჯამებელ დავალებებს იყენებდნენ მასწავლებლები, ასევე, დაინტერესდა, მე-12 კლასში ქიმიის სწავლებისას გათვალისწინებული იყო თუ არა ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული ცვლილებები.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის, ალა სანამიანის, განმარტებით, თავდაპირველად არ იყო გაწერილი კომპლექსური დავალებები, თუმცა, შემდგომ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს, დაწესებულებამ გადმოაგზავნა განახლებული დოკუმენტაცია, სადაც გათვალისწინებული იყო ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევები და რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღურტის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200- ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო – 16:55
დასრულების დრო – 17:02

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღურტის საჯარო სკოლას (ს/კ: 248053724) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ღურტა; ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი იაკობაძეები.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ღურტა.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ღურტა.

- **საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:**

მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები); მე-3 და მე-4 სტანდარტები.

3. სსიპ - ქალაქ თბილისის N102 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების

მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N102 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 09 და 10 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1500. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1500 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ლი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშულო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ხოლო, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა გარე სპორტული მოედანი, ადაპიტრებული სველი წერტილი, საბუნებსიმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია.

ექსპერტის თქმით, სკოლის შესასვლელი იყო ადაპტირებული, თუმცა სართულებს შორის გადაადგილებისთვის სკოლას არ ჰქონდა ადაპტირებული გარემო და აღნიშნულის მოწყობის მიზნით, მიმართული ჰქონდა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, როდის ჩაუტარდა სკოლას რეაბილიტაცია და რამ განაპირობა, რომ სართულებზე გადაადგილებისთვის არ იყო შექმნილი ინკლუზიური გარემო. ასევე, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, ვებ-გვერდზე განეთავსებინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა.

სკოლის დირექტორის, ზაზა გრიგალაშვილის განმარტებით, ინკლუზიური გარემოს სრულად უზრუნველყოფისთვის მიმართული ჰქონდა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის და ელოდებოდა პანდუსის ან ლიფტის მოწყობას.

საბჭოს წევრი, ნატო გაბოშვილი, დაინტერესდა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარებისთვის რა რესურსები ჰქონდა სკოლას.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, სკოლას დაწყებული ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის გამრავალფეროვნებისთვის შესყიდვის პროცედურა და გეგმავდა რეაქტივების შესანახი დაცული კარადისა და დამატებითი რეაქტივების შეძენას.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დიანტერესდა, როგორ აცნობდა დაწესებულება ნამუშევარი საათების აღრიცხვის დოკუმენტს დასაქმებულებს.
სკოლის დირექტორის, ზაზა გრიგალაშვილის, განმარტებით, აღრიცხვა ხდებოდა ჟურნალის მიხედვით.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა, შექმნა თუ არა დაწესებულებამ ვერიფიკაციის ჯგუფი და დაიწყო თუ არა ჯგუფმა მუშაობა.
სკოლის წარმომადგენელმა, განმარტა, რომ ჯგუფის შექმნა იგეგმებოდა ახალი სასწავლო წლიდან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ირიცხებოდა 680 მოსწავლე და დაინტერესდა, თუ რამ განაპირობა, რომ სკოლა ითხოვდა მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობის 1500-ით განსაზღვრას.
სკოლის დირექტორმა, ზაზა გრიგალაშვილმა, აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ასეთი მკვეთრი ზრდის მოთხოვნა განპირობებული იყო იმით, რომ დაწესებულება მდებარეობდა უბანში, სადაც მუდმივად იზრდებოდა მაცხოვრებელთა რაოდენობა.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა, როგორი ვითარება იყო სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის მიმართულებით.
სკოლის წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში იყო მაღალი თანამშრომლობითი კულტურა და სასკოლო საზოგადოება აქტიურად იყო ჩართული სასკოლო ცხოვრებასა და სკოლის განვითარებაში. აღნიშნული მოსაზრება დაადასტურა ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N102 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500- ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:22
დასრულების დრო - 17:28

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N102 საჯარო სკოლას (ს/კ: 204873459) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული

რაოდენობა განესაზღვროს 1500 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი მე-4 მკ/რ, ლეო და ნოდარ გაბუნიების ქ. 27
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი მე-4 მკ/რ, ლეო და ნოდარ გაბუნიების ქ. 27
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი მე-4 მკ/რ, ლეო და ნოდარ გაბუნიების ქ. 27.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის ნოემბერში 2.2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტებთან მიმართებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში გამწოვი კარადის დამონტაჟებისა და რეაქტივების შესაბამის კარადაში განთავსების, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის უწყებასთან შეთანხმების, ადაპტირებული გარემოს მოწყობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამართვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 25 და 26 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 550. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 550 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ სკოლა იყო ახლადრეაბილიტირებული და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო. ჰქონდა სამედიცინო ოთახი, რესურსოთახი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორიები, შიდა სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი.
ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა კლუბი: „მხიარულთა და საზრიანთა“, „ნორჩი პითაგორელები“, „გლობუსი“, „აფსაროსი“, „ეკოკლუბი“, „ნორჩ მკითხველთა კლუბი“ და ა.შ. ასევე, სკოლა ატარებდა ჩემპიონატებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში.
ექსპერტის თქმით, დაწესებულებას ფართი იჯარით ჰქონდა გადაცემული ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სკოლისთვის. სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 სკოლის მოსწავლეები კი, სკოლებს შორის შეთანხმების საფუძველზე, უფასოდ იღებდნენ მუსიკალურ განათლებას.
დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი პროფესიული განათლების კოლეჯთან „ბლექსი“, რომლის ფარგლებში მოსწავლეები ეუფლებოდნენ საქმიანობებს: სარესტორნო საქმე, ბარმენი და ბარისტა.
ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია); მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები); მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, რამდენი მოსწავლე სწავლობდა სკოლაში და მათგან იყო თუ არა რომელიმე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე. ასევე, იყო თუ არა შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.
ექსპერტის, თალიკო ჯაყელის განმარტებით, სკოლას ჰყავდა სპეციალური მასწავლებელი, რომელსაც შედგენილი ჰქონდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც შესწავლილი იქნა დაწესებულების შეფასების პროცესში.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ცისანა ბარამიძის, განმარტებით, სკოლაში სწავლობდა 450 მოსწავლე, მათგან 10 მოსწავლე იყო სპეციალური საგანმანათლებლო

საჭიროების მქონე. მისი განმარტებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის დროს ითვალისწინებდნენ, როგორც მოსწავლის, ასევე მშობლების ინტერესებს.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა აღნიშნა, რომ შეფასების სისტემას ესაჭიროებოდა მეტად დახვეწა. ასევე, ვებ-გვერდზე ატვირთული სკოლის ხედვის ფორმატი იყო დასახვეწი და სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, ვებ-გვერდზე განეთავსებინათ ინფორმაცია სკოლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ და შინაგანაწესი აეტვირთათ სწორ გრაფაში.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, აღნიშნა, რომ სკოლას ესაჭიროებოდა მეტი მუშაობა შემაჯამებელი წერების ანალიზის მიმართულებით, რათა მოსწავლეებისთვის გასაუმჯობესებელი მხარეები გამხდარიყო მეტად მკაფიო და ნათელი.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა სსსმ მოსწავლისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, სადაც იყო ჩანაწერი, რომ სსსმ მოსწავლის ტრანზიციის ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვის დროს, დაწესებულება ითვალისწინებდა მშობლის პრიორიტეტებსა და ხედვებს და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რას გულისხმობდა აღნიშნულ ჩანაწერში.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის დროს ითვალისწინებდნენ მშობლების სურვილებსა და მოთხოვნებს მოსწავლეთა ხელშეწყობის მიმართულებით. მისი თქმით, აღნიშნულ ჩანაწერს ესაჭიროებოდა მეტად დახვეწა.
საბჭოს მდივანი, მანანა ჯინჭარაძე, დაინტერესდა, მოსწავლეთა ინტერესების ხელშეწყობის მიზნით რა ვითარება იყო სკოლაში.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებაში შექმნილი იყო სხვადასხვა კლუბი, რომელიც ხელს უწყობდა მოსწავლეთა ინტერესების წახალისებას, მათ შორის ერთ-ერთი იყო „ეკო კლუბი“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს კონკურსში და დასაჩუქრდნენ სიგელებითა და სიმბოლური საჩუქრებით. მისი თქმით, მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული სამოქალაქო აქტივობებში, მათ შორის, მიმართეს ადგილობრივ თვითმმართველობას ნაგავსაყრელების მოწყობასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 550- ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:55
დასრულების დრო - 18:05

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლას (ს/კ: 248386624) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 550 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ბათუმი, სვიმონ კანანელის ქ. N 1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ბათუმი, სვიმონ კანანელის ქ. N 1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ბათუმი, სვიმონ კანანელის ქ. N 1

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ცვლილებებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საბჭოს წევრების მიერ მოხდა 2023-2024 წელს მიღებული გადაწყვეტილებების რევიზია. გამომდინარე იქიდან, რომ საგნობრივი ექსპერტები სკოლის შეფასების პროცესს ახორციელებენ დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, წინასწარ შესწავლილი კურიკულუმის საფუძველზე, საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა იმ სკოლებში, სადაც მეორე სტანდარტის მონიტორინგი დანიშნული იყო ადგილზე ვიზიტით, შეიცვალოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტების შესწავლით.

5. სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მეთერთმეტე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 18 დეკემბრის N 1726564 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 238146172) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მეთერთმეტე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მეთერთმეტე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

"საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ბუბაშვილმა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს N2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 5 და 6 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა საგარეჯოში, მისამართზე - დავით აღმაშენებლის ქ. N19. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 500 მოსწავლეს. ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 500 მოსწავლისთვის.
ლელა ბუბაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. ექსპერტთა მიერ პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.4 და 3.6 შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. რაც შეეხებოდა, მეორე (სამივე პროგრამისათვის) და მეოთხე სტანდარტს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
სკოლის დირექტორმა, ეთერ ქვირივიშვილმა, განაცხადა, რომ აღნიშნულ ხარვეზებზე სკოლამ უკვე გადმოაგზავნა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლამ უკვე მიიღო დაფინანსება სახანძრო უსაფრთხოების საკითხების მოსაგვარებლად და ჰქონდა ასევე მიწერილობა შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით, რაზეც ელოდებოდნენ შესაბამის რეაგირებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები. შესაბამისად, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, არ მიიჩნა მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 238146172) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი საგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქ. N19

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი საგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქ. N19
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი საგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქ. N19

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.4 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის პირველ დეკემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა, ასევე სკოლამ უნდა უზრუნველყოს ვებგვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება.“

6. „სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მესამე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 18 დეკემბრის N 1726564 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურის საჯარო სკოლას (ს/კ: 229729032) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მესამე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მესამე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია სოხაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 50 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 50 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა განმარტა, რომ პირველი, მე-2 (დაწყებითი საფეხურის პროგრამა) და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; მე-2 (საბაზო საფეხურის პროგრამა) შეფასდა „მეტწილად“, ვინაიდან კომპონენტი 2.2 (კურიკულუმების განხორციელება) შეფასდა „მეტწილად“; მე-3 სტანდარტი ასევე შეფასდა „მეტწილად“. 3.1 (პერსონალის მართვა), 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) კომპონენტები შეფასდა“ მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ სკოლას რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2021 წელს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ისაუბრა სკოლაში განხორციელებულ ერთ-ერთ პროექტზე, სახელად „გიორგი სააკაძე“ და აღნიშნა, რომ იმ რესურსებით, რომელიც მოსწავლეებს ჰქონდათ, ვერ გააკეთებდნენ მსგავს პროექტს. ეს გახლდათ ერთ-ერთი გაკვეთილის წყაროს ანალიზი.
საბჭოს წევრი ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა, რომ უმჯობესი იქნებოდა სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტი ერთმანეთთან შესაბამისობაში მოდიოდეს, გარდა ამისა, გადასახედი იყო სკოლის ფილოსოფიისა და სტრუქტურის საკითხი.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, რამდენად იყო სკოლაში განვითარებული ინკლუზიური გარემო.
ექსპერტმა, ია სოხაძემ განმარტა, რომ მეორე სართულზე განთავსებული იყო ბიბლიოთეკა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ერთ-ერთი ნაწილი, რაზეც ხელი არ მოუწვდებოდათ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებს, ვინაიდან იქ მისასვლელად არ იყო პანდუსი.
საბჭოს წევრმა მორის დანდურიშვილმა სკოლას განუსაზღვრა რეკომენდაცია, რომ ბიუჯეტში გაეთვალისწინებინათ სოციალური დახმარბების მიმართულება
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურის საჯარო სკოლას (ს/კ: 229729032) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 50-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ვანის მუნიციპალიტეტის სოფელი ინაშაური
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის	საბაზო	ქართული	ვანის მუნიციპალიტეტის სოფელი ინაშაური

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის დეკემბრიდან; **მონიტორინგის განხორციელების ფორმა:** ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა; **მონიტორინგის ფარგლები:** მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის პირველ დეკემბრამდე, კერძოდ, კონკურსის გამოცხადების, ვიდეო სათვალთვალო კამერების მონტაჟის, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ და შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების მოპოვების, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებისა და საგანგებო შტაბის შექმნის, ასევე სწავლებისთვის ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფის შესახებ დოკუმენტაციის წარმოდგენა.“

7. „სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილები სსაკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 18 დეკემბრის N 1726564 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას (ს/კ: 242735894) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი; საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის

ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მეხუთე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თეა გაბელაიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 17 და 18 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, სოფელი ეწერაში, მისამართზე - პირველი ქუჩა N1. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 120 მოსწავლე.
მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით საბჭოს წინაშე სკოლამ დააყენა შუამდგომლობა და ითხოვა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 140 მოსწავლით განსაზღვრა. საბჭომ გაიზაირა სკოლის შუამდგომლობა.
ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 140 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა განაცხადა, რომ 1-ელი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი, სამივე პროგრამისათვის), მე-3 სტანდარტი (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტი 3.4 ”მეტწილად” შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა, თეა გაბელაიამ აღნიშნა, რომ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა თეა გაბელაიამ სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლა სხვადასხვა ღონისძიებებით და პროექტებით ხელს უწყობდა არაფორმალური განათლების დანერგვას და განვითარებას. ექსპერტის განცხადებით სკოლაში ფუნქციონირებდა ეკოოთახი, მუზეუმი „ხარათია“, სადაც განთავსებული იყო მოსწავლეების მიერ არქეოლოგიური კვლევების აღმოჩენები.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნაზე და აღნიშნა, რომ დასკვნის თანახმად სკოლის მესამე და მეხუთე კორპუსები ექვემდებარებოდა დემონტაჟს. სკოლის დირექტორმა რობერტ გელოვანმა აღნიშნა, რომ მოცემულ დასკვნაში საუბარი იყო სკოლის ძველ შენობაზე, რომელიც მოცემული დროისთვის დალუქული იყო და არ გამოიყენებოდა სასწავლო

პროცესების განხორციელებისთვის. სკოლის დირექტორის, რობერტ გელოვანის განცხადებით 2024 წლის ზაფხულში იგეგმებოდა აღნიშნული შენობის დემონტაჟი.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე -12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას (ს/კ : 242735894) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ეწერი, პირველი ქუჩა N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ეწერი, პირველი ქუჩა N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ეწერი, პირველი ქუჩა N1

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგისფარგლები: სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამები))

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაცა და მისი შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, შესაბამის ორგანოსთან შეთანმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის წარმოდგენა“

8. „სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 დეკემბრის N1739275 ოქმის პირველ ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 20 დეკემბრის N 1739275 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლას (ს/კ: 212705964) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი; საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 დეკემბრის N1739275 ოქმის პირველ ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 დეკემბრის N1739275 ოქმის პირველ ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვერა ბენიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლის ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 16 და 17 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N2-ში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 925 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლის მოსწავლეთა ბაზაში ირიცხებოდა 1005 მოსწავლე, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი არ დაეთანხმა აღნიშნულ მოთხოვნას, თუმცა დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას ჰქონდა მატერიალური და ტექნიკური რესურსი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1400 მოსწავლისათვის ორ ცვლაში.

ექსპერტმა, ვერა ბენიძემ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სკოლაში ინკლუზიური განათლების ხელშესაწყობად შექმნილი იყო მშობელთა გუნდი, რომლის მიზანსაც ინკლუზიური განათლების გაძლიერება წარმოადგენდა. გარდა ამისა, სკოლა ჩართული იყო STEM მიმართულების პროექტებში, აქტიურად ფუნქციონირებდა youth stem club, რომელიც ორიენტირებული იყო მოსწავლეებში STEM მიმართულებით აემაღლებინა ცნობიერება. აღნიშნული კლუბის ფარგლებში ხორციელდებოდა ორი პროექტი „ჰიდროპონიკა“ და „ჭკვიანი სახლი“. სკოლის საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ინგლისური ენის ორ პედაგოგს etwining პროგრამის ფარგლებში მინიჭებული ჰქონდა ევროპული ხარისხის ნიშანი და ამავე მიმართულებით, დაწესებულება ფლობდა Etwinning-ის სკოლის ტიტულს, რომლის თანახმად, სკოლა ევროპის მასშტაბით აღიარებული იყო, როგორც სამაგალითო ევროპული ღირებულებებისა და პედაგოგიკის საუკეთესო პრაქტიკის გამზიარებელი ინსტიტუცია.

ვერა ბენიძემ განმარტა, რომ 1-ლი, მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ , ხოლო მე-2 სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტი 2.2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, რადგან სკოლას არ ჰქონდა შიდა სპორტული მოედანი. გარდა ამისა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ 3.4 კომპონენტი (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) ასევე შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა, ასევე, მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, დაეზუსტებინა სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებული საკითხი. ვერა ბენიძემ განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა რესურსი, საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1400 მოსწავლისათვის ორ ცვლაში. აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდა წერილი, რომლის თანახმადაც მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი იყო 1400 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონია, დაინტერესდა ექსპერტების მხრიდან სკოლის წარმომადგენლების მზაობის შეფასებასთან დაკავშირებით, თუ , როგორ იმუშავებდნენ გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების გამოსწორებაზე. ექსპერტმაგანმარტა, რომ რჩევები გაიცა ერთი კონკრეტული საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით, თუმცა სკოლაში იყო თანამშრომლობითი კულტურა და კათედრათა შორის ურთიერთობით მოხდებოდა აღნიშნული რჩევების გათვალისწინება. აქვე, სკოლის დირექტორმა, გია მაღლაკელიძემ, ისაუბრა იმ გარემოებაზე, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სამედიცინო პერსონალი და ჰქონდა თუ არა ბიბლიოთეკას ცალკე სამკითხველო დარბაზი. ვერა ბენიძემ სამედიცინო პერსონალთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი, ხოლო ბიბლიოთეკას ცალკე სამკითხველო დარბაზი სკოლას არ ჰქონდა.
საბჭოს წევრის, მაკა მამფორიას კითხვა შეეხებოდა , ცვლებში სწავლების საკითხს და ითხოვა დაზუსტება, რა ხანგრძლივობის იყო თითოეული გაკვეთილი. ექსპერტმააღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდისთვის სკოლა ახორციელებდა ორ ცვლაში სწავლებას და ერთი გაკვეთილის ხანგრძლივობა შეადგენდა 40 წუთს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1400 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლას (ს/კ: 212705964) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1400- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა N2

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა N2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა N2

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

ცენტრის წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს და განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვინაიდან მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასებული იყო, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მონიტორინგის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღიდან. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზებიდან გამომდინარე, საბჭო ცვლიდა ზემოაღწერილ შეფასებას და მონიტორინგის დაწყების პერიოდად განსაზღვრავდა 24 თვეს.

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენა, ასევე, სკოლამ უზრუნველყოს მის ტერიტორიაზე არსებულ ეკლესიასთან მისასვლელი გზის იზოლირება სკოლის დანარჩენი ტერიტორიისგან.“

9. „სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 დეკემბრის N1739275 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 20 დეკემბრის N 1739275 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლას (ს/კ: 226526195) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი; საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2

სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 დეკემბრის N1739275 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 დეკემბრის N1739275ოქმის მეოთხე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირინა დვალმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 09 და 10 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნორიოში, გოგებაშვილის ქ. N46-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 900 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი, თუკი სწავლება განხორციელდებოდა ერთ ცვლაში, რადგან სკოლას უდასტურდებოდა 542 მერხისა და სკამის ფლობა, ხოლო ორი ცვლის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იყო დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 900 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა განაცხადა, რომ 1-ლი და მე-4 სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან 2.2 კომპონენტი სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებისთვის შეფასდა მეტწილი შესაბამისობით. ხოლო, მე-3

სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან კომპონენტები 3.1, 3.3, 3.4, 3.5 და 3.6 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ირინა დვალმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლის შენობაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ახალი დასრულებული იყო. მისი განცხადებით, სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. სკოლა იყო სრულად ადაპტირებული, როგორც პანდუსებით, ასევე ლიფტებით.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წვერმა, შალვა მეკრავიშვილმა, ექსპერტს მიმართა კითხვით, ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და იყო თუ არა კურიკულუმები მისთვის ადაპტირებული. ირინა დვალმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ხოლო კურიკულუმებთან დაკავშირებით საგნობრივ ექსპერტებს გაცემული ჰქონდათ რჩევები და რეკომენდაციები.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა, მოსწავლეთა წახალისების რა პრაქტიკა არსებობდა სკოლაში და ექსპერტებს მიმართა კითხვით, არსებობდა თუ არა პირად საქმეებში, საფეხურის ბოლოს მსგავსი შინაარსის ჩანაწერები. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიამ გარაშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტებს პირად საქმეებში მსგავსი ხასიათის ჩანაწერები არ შეხვედრიათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 900-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27- ე მუხლის მე- 4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლას (ს/კ: 226526195) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და

მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნორიო, გოგებაშვილის ქუჩა N46
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნორიო, გოგებაშვილის ქუჩა N46
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნორიო, გოგებაშვილის ქუჩა N46

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

ცენტრის წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს და განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვინაიდან მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მონიტორინგის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღიდან. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზებიდან გამომდინარე, საბჭო ცვლიდა ზემოაღწერილ შეფასებას და მონიტორინგის დაწყების პერიოდად განსაზღვრავდა 24 თვეს.

საბჭომ 3.1, 3.3, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, სკოლას ცენტრში უნდა წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და მდგრადობის შესახებ დასკვნები, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შესაბამისი სტატუსის მქონე ფიზიკის მასწავლებლის აყვანის დამადასტურებელი

დოკუმენტაცია, სკოლის მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტი „ინფორმაციის დაცვის მექანიზმების“ შესახებ, ბიბლიოთეკაში ინვენტარიზაციისა და კატალოგიზაციის ღონისძიებების გატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სკოლის მიერ შემუშავებული ბიბლიოთეკის, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიებით სარგებლობის წესები და, ასევე, ვებ-გვერდზე ინდიკატორით გათვალისწინებული ინფორმაციის ასახვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.“

10. „სსიპ - ქალაქ თბილისის №172 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 დეკემბრის N1739275 ოქმის მეშვიდე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 20 დეკემბრის N 1739275 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ქალაქ თბილისის №172 საჯარო სკოლას (ს/კ: 206031621) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი; საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ქალაქ თბილისის №172 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 დეკემბრის N1739275 ოქმის მეშვიდე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ქალაქ თბილისის №172 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 დეკემბრის N1739275 ოქმის მეშვიდე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, განაცხადა, რომ იგი ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან მოცემულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, დაწესებულებასთან თანამშრომლობდა ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიკა გიორგაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №172 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 29 და 30 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის მეოთხე მიკრო რაიონის პირველ კვარტალში. .

დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1500 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1500 მოსწავლისთვის.

ლიკა გიორგაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით. მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ და კომპონენტები 3.1, 3.4 და 3.5 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტებს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა დირექტორის მოადგილის ანგარიში, სადაც მოცემული იყო ინფორმაცია წარუმატებელი მოსწავლეების შესახებ კლასების მიხედვით. საბჭოს წევრმა სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა, თუ რას გულისხმობდა აღნიშნული ჩანაწერი. სკოლის დირექტორმა, დავით ბრეგვაძემ, აღნიშნა, რომ ჩანაწერი მოიცავდა ინფორმაციას იმ მოსწავლეების შესახებ, ვინც ვერ გადალახა 5 ქულიანი ბარიერი.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მოსწავლის წარმატება არ გამოისახებოდა ქულებით.

სკოლის დირექტორი დაეთანხმა აღნიშნულს და განაცხადა, რომ დასაზუსტებელი იყო დეფინიცია.

სკოლის დირექტორმა, დავით ბრეგვაძემ მიმართა საბჭოს და განაცხადა, რომ მესამე სტანდარტით განსაზღვრულ დოკუმენტაციასა და ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებით სკოლას უკვე დაწყებული ჰქონდა აქტიური მუშაობა და უახლოეს მომავალში დაასრულებდნენ.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, ექსპერტს მიმართა კითხვით და სთხოვა დაეზუსტებინა, რამ გამოიწვია ის, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მეორე სტანდარტთან დაკავშირებით არ გასცა რჩევები და რეკომენდაციები. ექსპერტმა, ლიკა გიორგაძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ ჰქონდა დამტკიცებული 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და მიმდინარეობდა მასზე მუშაობა. ასევე, სკოლა ადასტურებდა კურიკულუმის კომპონენტებთან შესაბამისობას. ექსპერტის თქმით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იყო რჩევებისა და რეკომენდაციების გაცემის საჭიროება.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და კომპლექსურ დავალებებში კარგად იყო ჩამოყალიბებული პირობა, რაც ხელს შეუწყობდა მოსწავლის მხრიდან გაგება-გააზრებას, თუ როგორ, ან რატომ უნდა შეესრულებინა დავალება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №172 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის №172 საჯარო სკოლას (ს/კ: 206031621) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, ვაზისუბანი, მეოთხე მიკრო რაიონი, პირველი კვარტალი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ვაზისუბანი, მეოთხე მიკრო რაიონი, პირველი კვარტალი.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ვაზისუბანი, მეოთხე

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			მიკრო რაიონი, პირველი კვარტალი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 1.2, 3.1, 3.4, და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და მდგრადობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა, ასევე, შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, ინკლუზიური გარემოს არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და დასაქმებული თანამშრომლების „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენის შესახებ ნასამართლობის შესახებ“ ცნობების წარმოდგენა. გარდა ამისა, 1.2 კომპონენტთან დაკავშირებით, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაცია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაემტკიცებინა და ცენტრში წარმოედინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახული იქნებოდა გაზომვადი ინდიკატორები.“

11. „სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N1747184 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 21 დეკემბრის N 1747184 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლას (ს/კ: 228540451) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი; საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N1747184 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N1747184 ოქმის მეოთხე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა ხმელიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 16 და 17 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვემო ქედში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 130 მოსწავლე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 101 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ 1-ლი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია) და მე-2 სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მე-3 სტანდარტი (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.1(პერსონალის მართვა)3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება), 3.5(მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა), 3.6 (საინფორმაციო რესურსები),3.7(ფინანსური რესურსები) და 4.1 (მოსწავლეთა უფლებების დაცვა) „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ირინა ხმელიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელებისაღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა, ირინა ხმელიძემ სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა „ბიოსფერული რეზერვაციის“ სტატუსის მქონე ტერიტორიაზე, რომელიც გამორჩეული იყო არა მხოლოდ ბიომრავალფეროვნებით, ასევე აგრომრავალფეროვნებითაც. ექსპერტის განცხადებით, სკოლის მოსწავლეების მიერ ხშირად ხორციელდებოდა ეკოსაგანმანათლებლო აქტივობები. ექსპერტის განცხადებით, სკოლა ზრუნავდა მოსწავლეთა

პროფესიული ორიენტაციის საკითხზე და აქტიურად თანამშრომლობდა პროფესიულ კოლეჯებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა ყურადღება გაამახვილა სკოლის ვებ- გვერდზედა აღნიშნა, რომ საიტზე ასახული ინფორმაცია არ იყო სრულყოფილი. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ლელა დარძულმა აღნიშნა, რომ სკოლა მოცემული დროისთვის იყო მუშაობის პროცესში და არ ჰქონდა ვებ- გვერდზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის განთავსება დასრულებული. ექსპერტებისგან მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ისინი უახლოეს მომავალში გეგმავდნენ ვებ- გვერდზე ინფორმაციის სრულყოფილი სახით განთავსებას.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით ბოლოს როდის და ვის მიერ მოხდა სკოლაში სრული სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ლელა დარძულმა განაცხადა, რომ სკოლაში სრული რეაბილიტაცია განხორციელებული იყო რამდენიმე ათეული წლის წინ. ბოლო სარეაბილიტაციო სამუშაოები სკოლაში განხორციელებული იყო დაახლოებით 10 წლის წინ.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა სრულყოფილად გაეწერათ სტრუქტურა და ნათლად წარმოეჩინათ სკოლაში დასაქმებული თითოეული პირი, თუ ვინ ვის წინაშე იყო ანგარიშვალდებული.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რატომ არ მოხდა სკოლაში ექიმის ოთახთან დაკავშირებული პრობლემის აღმოფხვრა. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ლელა დარძულმა აღნიშნა, რომ ექიმის ოთახში მნიშვნელოვანი იყო ყოფილიყო სველი წერტილი და იქიდან გამომდინარე, რომ ვერ მოხდა სკოლაში შესაბამისი სივრცის მოძიება, სკოლამ ვერ შეძლო აღნიშნული პრობლემის დროულად აღმოფხვრა. მისი განცხადებით, დაგეგმილი იყო სკოლის სრული რეაბილიტაცია, რომლის დასრულების შემდეგ სკოლას აღნიშნული პრობლემა აღარ ექნებოდა.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ ტექნოლოგიების საგნობრივ ექსპერტს მიმართა თხოვნით გაეზიარებინა მისი მოსაზრება, როგორ შეიძლებოდა სკოლაში ტექნოლგიებთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა, საგაკვეთილო პროცესების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით. ტექნოლოგიების საგნობრივმა ექსპერტმა, მეგი კაპანაძემ აღნიშნა, რომ სკოლაში მოსწავლეების გარკვეულ ნაწილს ჰქონდა კომპიუტერები, რომლების დახმარებითაც ხდებოდა საგაკვეთილო პროცესების წარმართვა. სკოლაში პრობლემას წარმოადგენდა ინტერნეტის სიხშირე, თუმცა გასაუბრებიდან მიღებული ინფორმაციით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში ინტერნეტის გაზიარება ხდებოდა მასწავლებლის პირადი მობილური ტელეფონიდან.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ლელა დარძულმა აღნიშნა, რომ სკოლას მოცემული დროისთვის ჰქონდა 29 ახალი კომპიუტერი, შესაბამისად, სკოლაში ტექნოლოგიური პრობლემები უკვე აღმოფხვრილი იყო.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, ჰქონდა თუ არა სკოლას მოცემული დროისთვის მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ლელა დარძულმა აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის აღნიშნული ხარვეზი უკვე აღმოფხვრილი იყო და სკოლას მშობლებთან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა ყურადღება გაამახვილა მეოთხე სტანდარტზე და სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, თუ ხდებოდა სკოლაში მოსწავლეთა ინიციატივების წახალისება. ლელა დარძულმა აღნიშნა, რომ სკოლაში აქტიურად ხდებოდა

მოსწავლეთა ინიციატივების წახალისება. მისი განცხადებით, ბოლო დროს, სკოლის მოსწავლეთა ინიციატივით განხორციელდა პროექტი „რა? სად? როდის?“, რომელსაც სკოლამ საწყის ეტაპზევე დაუჭირა მხარი და შეიძინა მონაწილეთა საპრიზო საჩუქრები.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 130-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1
საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, , მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე- 4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლას (ს/კ : 228540451) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 130- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ქედი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ქედი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ქედი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა:ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)

საბჭომ 3.1, 3.4, 3.5, 3.6, 3.7 და 4.1 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის დეკემბრამდე, კერძოდ უზრუნველყოს პერსონალის პირადი საქმეების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის, კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სკოლის ექიმის კაბინეტის მოწყობის, შენობა- ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის; საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვის და მოწყობის, ინკლუზიური გარემოს, ძველი კომპიუტერული ტექნიკის განახლების და მისი რაოდენობის სკოლის საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანის, ისტ ინფრასტრუქტურის მოწყობის, სკოლის ვებ- გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის სრულყოფილად განთავსების, სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტის, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების მშობლებთან/ კანონიერ წარმომადგენლებთან ზოგადი განათლების შესახებ კანონით დადგენილი წესით გაფორმებული ხელშეკრულებების დამდასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა ცენტრში.“

12. „სსიპ - ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N1747184 ოქმის მეცხრე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 21 დეკემბრის N 1747184 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლას (ს/კ: 245429317) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი; საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N1747184 ოქმის მეცხრე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N1747184 ოქმის მეცხრე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამთა კობახიძემ. ექსპერტმა, განაცხადა რომ სსიპ- ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26 და 29 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ბათუმში, ა. გრიბოედოვის N35-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 2200 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდა აღნიშნული მოსწავლეთა რაოდენობის მიღებას, თუ სწავლებას განახორციელებდა ცვლებში და შესრულდებოდა დამატებითი შენობის აშენებასთან დაკავშირებული პირობა.
თამთა კობახიძის განცხადებით, 1-ლი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია) შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.1(პერსონალის მართვა), 3.4(ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა), ასევე შეფასებული იყო როგორც „მეტწილად“ შესაბამისი. რაც შეეხებოდა მე-2 (სასკოლო კურიკულ უმი) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფმა ორივე სტანდარტი შეაფასა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რჩევები და რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ასევე გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა განემარტა, ვინაიდან იგი იყო ახლად არჩეული დირექტორი, ემთხვეოდა თუ არა მისი ხედვა სკოლის მიერ უკვე ჩამოყალიბებულ ფილოსოფიას.
სკოლის დირექტორმა, ქეთევან გვარჯელაძე გორგოშაძემ აღნიშნა, რომ უკვე ჩამოყალიბებული ფილოსოფია მოიცავდა ისეთ თემებსა და საკითხებს, რომელიც აუცილებელი იყო ყველა სკოლისთვის, თუმცა ასევე განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო პერიოდულად ცვლილებების შეტანა.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა შეეძლო თუ არა სკოლას შესაბამისი მომსახურების გაწევა 2200 მოსწავლისთვის, რაზეც ექსპერტმა განაცხადა რომ სკოლაში ამჟამად სწავლობდა 2139 მოსწავლე ორ ცვლაში და ისინი უზრუნველყოფილნი იყვნენ შესაბამისი რესურსით, თუმცა ექსპერტის განცხადებით სკოლა ასევე ორ ცვლაში, არსებული რესურსით სრულყოფილად შეძლებდა შესაბამისი მომსახურების გაწევას მხოლოდ 2150 მოსწავლისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ- ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ- ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლას (ს/კ: 245429317) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2150- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ბათუმი, ა.გრიბოედოვის #35
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ბათუმი, ა.გრიბოედოვის #35

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ბათუმი, ა.გრიბოედოვის #35

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის“, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს კანონის საფუძველზე უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების, შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმია, შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა ცენტრში.“

13. „სსიპ - მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N1750749 ოქმის მეათე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 22 დეკემბრის N 1750749 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლას (ს/კ: 242007369) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი; საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N1750749 ოქმის მეათე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N1750749 ოქმის მეათე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლია ჯალაღონიამ, რომელმაც განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 23 და 24 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტ, სოფელ ზოტში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 200 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 200 მოსწავლისთვის.
ლია ჯალაღონიას განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი, შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. მესამე სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივ შესაბამისად“, რადგან კომპონენტები 3.4, 3.5 და 3.6 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. სტანდარტთან მეტწილ შესაბამისობაში იყო მეორე სტანდარტის სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ვინაიდან კომპონენტი 2.2 შეფასებული იყო „მეტწილ შესაბამისად“. რაც შეეხება მეოთხე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს,“ თუმცა კომპონენტი 4.2 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.

ლია ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ ან „ნაწილობრივ“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულება ზრუნავდა პროფესიული ინტერესების ფორმირებაზე სხვადასხვა არაფორმალური სასწავლო აქტივობით. სკოლა გეგმავდა და ახორციელებდა ვიზიტებს, ასევე, მასპინძლობდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ განახორციელა პროექტი, სახელწოდებით - „ჯუნიორ ეჩივმენთი“, რომელიც ფოკუსირებული იყო მოზარდთა პროფესიულ ორიენტაციასა და მათი , სამეწარმეო კომპეტენციის განვითარებაზე და ის დაუკავშირა თემის მწვავე პრობლემას (დასაქმება, უმუშევრობა). შედეგად, რამდენიმე უფროსკლასელ მოსწავლეს დაუფინანსდა ინდსაწარმო (ინკუბატორი, სალონი, მეცხოველეობა).
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს დაეზუსტებინათ, ჰყავდა თუ არა დაწესებულებას სსსმ მოსწავლე. დასმული შეკითხვის საპასუხოდ ლია ჯალაღონიამ განაცხადა, რომ სკოლაში ირიცხებოდა ერთი სსსმ მოსწავლე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, სთხოვა სკოლის დირექტორს საბჭოსთვის წარმოედგინა ინფორმაცია, თუ როგორ აპირებდა სკოლა ექსპერტების მიერ გაცემული რჩევებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინებას, ასევე, ხარვეზების გამოსწორებას. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, ნანა ირემაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულება აქტიურად მუშაობდა აღნიშნული საკითხების გამოსწორებაზე, მათ შორის, დაწესებულებამ, მოიპოვა ოფიციალური თანხმობა მიეღო ექთანი და აპირებდა შესაბამისი ვაკანსიის გამოცხადებას. მისი თქმით, ბიბლიოთეკაში დამონტაჟდა გასაშლელი პანდუსი. სკოლა, ასევე, მუშაობდა შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე და სხვა ხარვეზებზე, რომლებიც დაფიქსირებული იყო დასკვნაში
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე- 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ სსიპ - მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლას (ს/კ: 242007369) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზოტი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზოტი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზოტი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა -ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი

საბჭომ 1.2, 3.4, 3.5, 3.6 და 4.2 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, 1.2 კომპონენტთან მიმართებით, დაწესებულებას უნდა დაემტკიცებინა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. ასევე, 3.4 კომპონენტთან მიმართებით წარმოედგინა შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს მიერ შეთანხმებული სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შენობის სახანძრო უსაფრთხოებისა და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. 3.5 კომპონენტთან დაკავშირებით სკოლას უნდა უზრუნველეყო რესურს-ოთახის მოწყობა და ბიბლიოთეკასთან

პანდუსის განთავსება. 3.6 კომპონენტთან მიმართებით სკოლას უნდა ჩაეტარებინა სკოლის ვებ-გვერდის შესაქმნელი ღონისძიებების (შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაციის ასახვა.) 4.2 კომპონენტთან დაკავშირებით კი სკოლას უნდა უზრუნველეყო სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმის კომპონენტების შემუშავება (მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის გეგმა, ისგ ჯგუფის შექმნა, ინკლუზიური განათლების გეგმის შესრულების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნა).“

14. „სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N1750749 ოქმის მეცხრე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 22 დეკემბრის N 1750749 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლას (ს/კ: 230867103) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი; საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N1750749 ოქმის მეცხრე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N1750749 ოქმის მეცხრე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 11 და 12 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტ სოფელ დიდგორში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 200 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმებოდა სკოლის მიერ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას, ვინაიდან სასწავლო პროცესის განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ 27 მოსწავლისათვის. (სკოლა ფლობდა ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებულ 20 მერხს და 7 არასტანდარტულ მერხს.)
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ ან „ნაწილობრივი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა, ასევე, მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დ აღნიშნა, რომ ექსპერტებს რჩევა გაცემული ჰქონდათ წიგნადი ფონდის შევსებასთან დაკავშირებით და სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა, თუ რატომ იყო აღნიშნული საკითხი პრობლემატური. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, კარლო სუბელიანმა, განაცხადა, რომ ისინი ორი თვის განმავლობაში, სარგებლობდნენ ახლად რეაბილიტირებული შენობით, მანამდე კი სასწავლო პროცესს ახორციელებდნენ კერძო სახლში ორ ცვლაში, სადაც ფიზიკურად არ არსებობდა ბიბლიოთეკა. სკოლა ამ ეტაპზე აპირებდა მუშაობის დაწყებას და აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 27-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლას (ს/კ:

230867103) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 27-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდგორი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდგორი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდგორი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი

საბჭომ 1.2 3.1, 3.4 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, 1.2 კომპონენტთან მიმართებით ერთწლიან სამოქმედო გეგმაში შესაბამისი რესურსების კომპონენტში ნაცვლად „არსებული რესურსების“ მითითებისა დაეკონკრეტებინა, რომელი ფინანსური, მატერიალური თუ ადამიანური რესურსების უზრუნველყოფით იყო შესაძლებელი აქტივობების შესრულება. 3.1 კომპონენტთან მიმართებით, დაწესებულებას უნდა უზრუნველყო დასაქმებულთა კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობების მოპოვება, მასწავლებელთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნისას შემადგენლობის განსაზღვრის დროს 174/ნ ბრძანებით განსაზღვრულ კომისიის შექმნის წესის გათვალისწინება. 3.4 კომპონენტთან მიმართებით სკოლას უნდა უზრუნველეყო სკოლის შენობის დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების საფუძველზე, შედგენილი

მიწერილობით განსაზღვრული სავალდებულო ღონისძიებები და შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვება. ასევე, გაიცა რეკომენდაცია, დაწესებულებას უზრუნველეყო უსაფრთხოების დამატებითი კამერების მონტაჟი შენობის შიდა და გარე პერიმეტრის სრული ვიდეომეთვალყურეობისათვის. რაც შეეხებოდა 3.6 კომპონენტს სკოლას უნდა უზრუნველეყო ინდიკატორით გათვალისწინებული ინფორმაციის ასახვა ვებ - გვერდზე.“

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 18:15 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
მამფორია მაკა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა